გაᲜათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
**თავმჯდომარე:** ირინა დვალი
**წევრები:**
ნანა გიორგობიანი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მანანა ჭიკაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
შორენა გაგნიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბურჯანაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლედი კუთხაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მაია სიხარულიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეონა შერაზადიშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თამარ მურუსიძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტიკობა დეკანაძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ელენე ბეთლემიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ |
|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 240890862 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქარელი |
| იურიდიული მისამართი | ქარელი, სოფელი კეხიჯვარი სოფელი სამწევრისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქარელი, სოფელი კეხიჯვარი სოფელი სამწევრისი |
| საფოსტო ინდექსი | 2523 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | პორტალი: skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | kekhijvari@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | არ აქვს |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2023 წლის 13 ივლისის MES 0 23 0000879060 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვავილი

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 14-15 აგვისტო, 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ"* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| № | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი |
| 2. | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი |
| 3. | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 14-15 აგვისტოს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლაში. პროცესში მონაწილეობა მიიღეს ზოგადი განათლების ექსპერტებმა და საგნობრივმა ექსპერტებმა. ვიზიტამდე შედგა დისტანციური შეხვედრა ჯგუფის ყველა წევრთან, როცა მონაწილეებმა ერთობლივად განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, ისაუბრეს საერთო მოდგომებზე. ვიზიტის პერიოდში განათლების ექსპერტებმა იმუშავეს კომპეტენციის შესაბამის დოკუმენტაციაზე და ადგილზე დაათვალიერეს სკოლა როგორც სოფელ კეხიჯვარში, ასევე სოფელ სამწევრისში. საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტმა დაათვალიერა სკოლის სოფელ კეხიჯვარის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადგილზე გაეცნო შესაბამისი საგნების დოკუმენტაციას, ესაუბრა მასწავლებლებს, ხოლო სხვა საგნობრივმა ექსპერტებმა ორივე დღის განმავლობაში დისტანციურად ჩაატარეს ინტერვიურება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ანგარიში.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავ[illegible]

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>■ **ნაწილობრივ შეესაბამება** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | აღწერა |
|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 400 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ▣ | *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრული შესაბამისობა
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრული შესაბამისობა
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრული შესაბამისობა

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი №1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი №3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
| | | |
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ფვაძე

| | | |
|---|---|---|
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | 1. | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი №4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |

| *სტანდარტი №2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი №1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი №3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |

1 გარდა მეორე სტანდარტის  ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N. 3.1.2.3.* | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | სკოლამ დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს უნდა მოსთხოვოს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები |
| *ინდიკატორი №3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის აყვანა, რომლის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან |
| *ინდიკატორი №3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლამ სოფელ სამწევრისის შენობაზე შესაბამის ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. |
| | | სკოლამ უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სამწევრისის სოფლის შენობა-ნაგებობის სახანძრო |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

| | | |
|---|---|---|
| | | უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. |
| | | სკოლას არც ერთ შენობაზე არ აქვს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნები შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ<br>სკოლამ სოფელ სამწევრისის სკოლის შენობაში უნდა აიყვანოს სამედიცინო პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან<br>სკოლამ სოფელ სამწევრისის სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს სამედიცინო სივრცე ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. |
| *ინდიკატორები №3.6.3.1 3.6.3.4 3.6.3.5* | 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | სკოლამ პორტალის საკუთარ გვერდზე: skolebi.emis.ge-ს ასახოს სტანდარტით მოთხოვნილი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის შესახებ<br>პორტალზე გვერდი უნდა იყოს ქართულენოვანი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანია

| | | |
|---|---|---|
| | 4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;<br>5.ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

| *სტანდარტი №4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |

| *სტანდარტი №2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი №1* | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №1.2.2.2* | სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; | მიზანშეწონილია მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გამოიკვეთოს, რა გზით მოახდენს სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებიდან უკუკავშირის მიღებას |
| *ინდიკატორი №1.2.2.3* | სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; | სკოლამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაითვალისწინოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გასაჯაროვების შესახებ |
| *სტანდარტი №3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ფვაძე

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |
| *ინდიკატორი №3.4.1.6* | სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; | სკოლამ შეიმუშაოს წესები ინფორმაციის დაცვის მექანიზმები დოკუმენტური სახით და სხვადასხვა შეხვედრის დროს მიწოდებულ რეკომენდაციას სკოლის თანამშრომლებისთვის ჰქონდეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. |
| *სტანდარტი №4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი №4.2.1.2* | სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; | გაიწეროს ტრანზაციის ზოგადი პროცედურები სხვადასხვა შემთხვევისთვის და გამოიყოს პასუხისმგებელი პირი. |
| *ინდიკატორი №4.2.2.1* | კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; | სკოლამ ერთიანი სახით ჩამოაყალიბოს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის შესახებ დოკუმენტი |

| *სტანდარტი №2* | **სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური** | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №2.1.2.1* | კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | დაიხვეწოს ყველა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭუკული

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №2.1.2.3* | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს | **ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩოში ყველა** საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები. |
| *ინდიკატორი №2.1.2.4* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა კლასის ყველა საგანში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან მიმართებით. |
| *ინდიკატორი №2.1.1.4* | კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ | ვებგვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნეს ვებგვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის. |
| ***სტანდარტი №2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საბაზო საფეხური** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი №2.1.2.1* | კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | დაიხვეწოს ყველა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №2.1.2.3* | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; | **ქართული ენისა და ლიტერატურის** კურიკულუმის ჩარჩოში ყველა საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები. |
| *ინდიკატორი №2.1.1.4* | კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. | ვებგვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნეს ვებგვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის. |
| *ინდიკატორი №2.1.2.4* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან მიმართებით. |
| ***სტანდარტი №2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საშუალო საფეხური** | **რჩევა** |
| *ინდიკატორი №2.1.2.1* | კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | დაიხვეწოს ყველა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭუკული

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №2.1.2.4* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს | შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან მიმართებით. |
| *ინდიკატორი №2.1.1.4* | კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ | ვებგვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნეს ვებგვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის. |
| *ინდიკატორი №2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები | მათემატიკის კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები |
| *ინდიკატორი №2.1.1.3* | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ | შეიქმნას მე-11 კლასის სრულყოფილი კურიკულუმი მათემატიკაში ისე, რომ მასში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მშობლებისგან მიღებული უკუკავშირები |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი №2.2.2.1* | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | კურიკულუმებს დაერთოს თემატური მატრიცები, სადაც ნათლად გამოჩნდება მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში |
| *ინდიკატორი №2.2.2.2.* | საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; | საშუალო საფეხურზე კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში უნდა ჩაერთოს თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები |
| *ინდიკატორი №2.2.2.3.* | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე | ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შესადგენია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. |
| *ინდიკატორი №2.3.2.1* | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს | შეფასების ფორმებს უნდა მიეცეს სისტემური ხასიათი, სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით |
| *ინდიკატორი №2.3.2.3* | შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; | შეფასებისათვის გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას უნდა მიეცეს სისტემური ხასიათი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

| | | |
|---|---|---|
| | | აღიწეროს და განისაზღვროს შეფასების მეთოდები |
| *ინდიკატორი №2.1.2.3* | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; | **ქართული ენისა და ლიტერატურის** კურიკულუმის ჩარჩოში ყველა საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას.**

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლამ** გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნები და რჩევები, ამის საფუძველზე შეადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.ვიზიტის დროს სკოლას დამტკიცებული არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა, წარმოადგინა მხოლოდ პროექტი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გამოაგზავნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-136 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია 7-წლიანი (2023-2030 სასწავლო წლის) სტრატეგიული გეგმა.

ამდენად, ექსპერტებმა ინდიკატორი №1.2.1.2.შეაფასეს სრულად.

2. ვიზიტის დროს სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის განვითარების 1- წლიანი წარმოადგინა მხოლოდ პროექტი, მაგრამ დამტკიცებული არ ჰქონდა იგი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გამოაგზავნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-137 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია განვითარების 1-წლიანი (2023-2024 სასწავლო წლის) გეგმა. ამდენად, ექსპერტებმა ინდიკატორი №1.2.1.3.შეაფასეს სრულად.

3. პერსონალის პირად საქმეებში არც ერთ თანამშრომელზე წარმოდგენილი არ იყო ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში თანამშრომლების მიერ აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვადად განსაზღვრა შემდეგი 2023 წლის 31 ოქტომბერი, ხოლო ამ საკითხზე პასუხისმგებელ პირად-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საქმისმწარმოებელი. ამდენად, ექსპერტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობის განხორციელება და ინდიკატორი №3.1.2.3 შეაფასეს მეტწილად.

4. სოფელ კეხიჯვარის სკოლის შენობაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის წარმოადგენისას გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა და 18.08. 2024 წლამდე განსაზღვრა ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფა. ამდენად, ექსპეტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობის განხორციელება და ინდიკატორები №3.1.2.4 და №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

5. სოფელ სამწევრისში სკოლის შენობაზე სკოლას არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისას სოფელ სამწევრისის სკოლის შენობაზე შესაბამის ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024. ამდენად, ამდენად, ექსპეტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობის განხორციელება და ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

6. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სოფელ სამწევრისის შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ.შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

7. სკოლას არც ერთ შენობაზე არ ჰქონდა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნები შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

8. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით სოფელ სამწევრისის შენობაში სკოლას განსაზღვრული არ ჰყავდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი .არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს №1/კ-34ა ბრძანება, კეხიჯვრის საჯარო სკოლის პერიფერიის სოფელ სამწევრისის დაწყებით კლასებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ და ესენი არიან დაწყებითის ერთ-ერთი მასწავლებელი და დარაჯი. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.4.1.2. შეაფასეს სრულად.

9. ვიზიტის დროს სკოლა ახალი ჩართული იყო skolebi.emis.ge-ს პორტალში, სადაც ჰქონდა მოქმედი ქართულენოვანი გვერდი, თუმცა არამოქმედი და შესაბამისად, მწირი ინფორმაციით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 30 ნოემბრამდე გეგმავს წარმართოს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციოდ განსაზღვროს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასახოს მასზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია. ამდენად, ექსპერტებმა ინდიკატორები №3.6.3.1 და №3.6.3.4 და №3.6.3.5 შეაფასეს მეტწილად.

10. სოფელ სამწევრისის შენობაში არ იყო გამოყოფილი სამედიცინო დახმარებისთვის ოთახი, არც სამედიცინო პერსონალი ჰყავდათ შესაბამისი კვალიფიკაციით პირველადი დახმარების გასაწევად. სკოლამ აღნიშნული ხარვეზის მოსაგვარებლად, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სექტემბრის ბოლომდე გეგმავდა სივრცის გამოყოფას, თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო ან სხვა რაიმე მასალა არ წარმოუდგენია და ექსპერტის მხრიდან გადამოწმება შეუძლებელია. სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №1/კ-37 სოფელ სამწევრისის დაწყებითი კლასებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და ამ პირის დიპლომის ასლი, რომლის მიხედვითაც მან 2005 წელს დაასრულა პედაგოგიური და სამკურნალო საქმის ფაკულტეტი და მიენიჭა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. სკოლამ ორივე აქტივობა შეაფასა მეტწილად.

რეკომენდაცია: სკოლამ 1 წლის განმავლობაში სოფელ სამწევრისის სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს სამედიცინო სივრცე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და აიყვანოს სამედიცინო პერსონალი მინისტრების ბრძანებით დადგენილი კვალიფიკაციის.

11. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, თუმცა ვერიფიკაციის პროცესი რეალურად ფუნქციონირებდა. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, რომლითაც განსაზღვრულია აუცილებელი საკითხები. ამდენად, ექსპერტებმა სამივე საფეხურზე ინდიკატორი №2.2.2.5 შეაფასეს სრულ შესაბამისობად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მისია სკოლამ განსაზღვრა სამი მიმართულებით:
   - მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული ზრდა ხარისხსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლება;
   - უსაფრთხო და ინკლუზიური სასკოლო გარემოს დამკვიდრება
   - ფორმალური განათლების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით.

სკოლის ხედვაა იყოს კონკურენტუნარიანი, გეგმავდეს განვითარების ინოვაციურ გზებს, ზრუნავდეს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, მოზარდის უწყვეტ განვითარებაზე, განათლების ხარისხის ამაღლებაზე, თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე.
სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვა[illegible]

2.სკოლის მისია და ხედვა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბაზე აკეთებს აქცენტს, რადგან ხედვაა, ზრუნავდეს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, მოზარდის უწყვეტ განვითარებაზე, განათლების ხარისხის ამაღლებაზე, თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე;

3. სკოლის მისიის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, მშობელი, თემის წარმომადგენელი. ამდენად, იგი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა მომზადებული.

4. ჯგუფის მიერ შემუშავებული მისიის პროექტს გაეცნო პედსაბჭო და სამეურვე საბჭო, გამოხატა თავისი თანხმობა. პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო წარმომადგენლობითი ხასიათისაა, შესაბამისად, უზრუნველყოფილია მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი-გამოკრულია სკოლის დერეფანში.

6. სკოლის სახელწოდებაა: სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
- პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შეხვედრის ამსახველი ელექტრონულ მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში დირექტორის 2023 წლის 24 ივლისის №2-89 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მისიის, ხედვის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დროს ზოგად მიდგომებს. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ჯგუფები.

2. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 7-წლიანი (2023-2030 სასწავლო წლის) სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს წლების მიხედვით, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა აერთიანებს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება, სკოლის მართვის დემოკრატიული კულტურის განმტკიცება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება.

სკოლაში სტრაგეგიული დაგეგმვის პროცესის განსახორციელებლად დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი.

როგორც აღვნიშნეთ, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სტრატეგიული გეგმის მხოლოდ პროექტი და იგი არ იყო დამტკიცებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გამოაგზავნა სკოლის დირექტორის მოვალეობის

შემსრულებლის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-136 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია 7-წლიანი (2023-2030 სასწავლო წლის) სტრატეგიული გეგმა.

3. სკოლამ ვიზიტის დროს ასევე წარმოადგინა ერთწლიანი 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. ის გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიულ გეგმიდან და სკოლის swot ანალიზიდან. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გამოაგზავნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-137 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებული 1-წლიანი (2023-2024 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმა.

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 14.09. 2023 №2-136
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა 14.09. 2023 №2-137
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსაც. გეგმის შეფასება ხდება ყოველწლიურად, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, სტრატეგიული გეგმის გეგმიური გადახედვა ხორციელდება ყოველ სამ წელში ერთხელ. შეფასებას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, კრიტერიუმის შესრულების დადასტურება კონკრეტული უკუკავშირის მაგალითზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ ყოფილა გამოთხოვილი.
**რჩევა:** მიზანშეწონილია მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გამოიკვეთოს, რა გზით მოახდენს სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებიდან უკუკავშირის მიღებას.
3. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები წარმოდგენილი არ არის (იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად არის ავტორიზაციის პროცესში), შესაბამისად, მისი საჯაროობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს მის გასაჯაროებას.
**რჩევა:** სკოლამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაითვალისწინოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გასაჯაროვების შესახებ.
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, დაგეგმილია მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
- ■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად, საჯარო სკოლებისთვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, სკოლის დისციპლინურ კომიტეტს. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის ეფექტურ ფუნქციონირებას. ასევე სხვა პირების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამის შრომით ხელშეკრულებებში, მაგალითად უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის/საგანგებო სიტუაციების დროს პასუხისმგებელი პირის.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

როგორც აღინიშნა, სკოლის სტრუქტურა შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია პედაგოგიური საბჭოს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და სამეურვეო საბჭოს შორის სკოლის მართვის სფეროში ფუნქციების გათვალისწინებით. ამასთან, სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულები არიან სხვა თანამშრომლებიც (სპეციალური მასწავლებლები და ა.შ.), რომელთა შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის წესდება;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა
- სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი მასალები

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლამ ასევე წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. იგი მოიცავს ინფორმაციას პერსონალის სამუშაოზე აყვანის წესის და პირობების, პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმების და ა.შ. შესახებ.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის დოკუმენტში- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

შინაგანაწესით სკოლას განსაზღვრული აქვს დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებლობის სახეები, განსაზღვრულია წახალისების სისტემა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება უზრუნველყოფილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ მუშაობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა, კადრების საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში, სკოლის წარმომადგენლების გარდა, ჩართული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგნობრივი ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ექსპერტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის - წარმომადგენელი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებგვერდზე: https://teacherjobs.ge/ შესაბამისი ვადების დაცვით. კონკურსი ჩატარდა ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის, კოლეგიალურობის და კორექტურობის პრინციპების დაცვით. კონკურსით შერჩეულ პირებთან სკოლის ადმინისტრაციამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება, „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. ყველა ეს ქმედება აღწერილია ოქმებში. აღწერილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. ადგილზე ინტერვიუსა და ნანახი საკონკურსო ოქმების ჩანაწერებით დასტურდება აღნიშნული.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამუშაოზე აყვანის დროს მათ წარმოადგინეს ცნობები ნასამართლობის შესახებ.

**რეკომენდაცია:** სკოლამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს უნდა მოსთხოვოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში თანამშრომლების მიერ აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვადად განსაზღვრა შემდეგი 31 ოქტომბერი, ხოლო ამ საკითხზე პასუხისმგებელ პირად-სკოლის საქმისმწარმოებელი.

4. ადგილზე პირადი საქმეების დათვალიერებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის მიხედვითადა eschool-ის მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამონაკლის წარმოადგენს სკოლის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც არ აქვს ექიმის კვალიფიკაცია და არის ექთანი. ამ საკითხზე სკოლამ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მიიღო მისგან პასუხი, რომ რეგიონში კადრის სიმცირის გამო, დროებით სკოლას შეუძლია აიყვანოს ექთანი.

**რეკომენდაცია: სკოლამ უნდა აიყვანოს** სამედიცინო პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის წარმოადგენისას გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა და 18.08. 2024 წლამდე განსაზღვრა ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფა.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ორგანიზაციული კულტურა სკოლაში დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, პრობლემების მოგვარება თანამშრომლების ერთად მუშობის შედეგია. ინტერვიუს შინაარსიდან და დაკვირვების შედეგად ეს ადვილად დასადასტურებელი ფაქტია. გარდა იმისა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწვეტილების მიღების/ამოცანის გადაწყვეტის შემთხვევაში, სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფები. მაგალითისათვის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავება უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა.

6. სკოლაში მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა. სკოლის შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის წახალისების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომელთა წახალისების შესახებ ბრძანებები;
- დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- მასწავლებლების აყვანის მიზნით სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები და საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- eschool-ის მონაცემები
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" საფუძველზე შემუშავებული პროფესიული განვითარების მხარდამჭერთა ჯგუფის დებულებით განსაზღვრული წესით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების ჯგუფის მიერ დაკვირვების ანალიზს, მონიტორინგის შედეგებს, მასწავლებელთა თვითრეფლექსიას, პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. სკოლაში დადგენილი წესის მიხედვით ფასდება მხოლოდ მასწავლებლის საქმიანობა, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს სხვა პერსონალის მუშაობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმები.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენას და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით - პროფესიული განვითარების გეგმის დადგენას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის მუშაობის შეფასებას.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
სკოლის ხარისხის ჯგუფის მუშაობა ემსახურება მასწავლებლის კარიერული ზრდის ხელშეწყობას. სამოქალაქო მასწავლებლების ფორუმის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს ესწრებიან სამოქალაქო განათლების მასწავლებელები, ასევე სკოლის მასწავლებლები ჩართულნი არიან დაწყებითი განათლების პროგრამაში, ესგ-ს დანერგვის ტრენინგებში.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ამ მიზნით, სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში-ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარება, განსაზღვრულია მატერიალური და არამატერიალური წახალისების სახეები, არსებობს შესაბამისი პრეცედენტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის ჯგუფის მუშაობის მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;.        სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია. ამავე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილია ასევე ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, სკოლაში პროცესები ეყრდნობა აღნიშნულ ციკლს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. ესენია: ა) მმართველობითი (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; ბ) ძირითადი პროცესები (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, გ)დამხმარე პროცესები (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისები, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რუსურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში საჩივრების განხილვის საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საქმიანობს შინაგანაწესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. საჩივრების განხილვის სისტემა მოიცავს საჩივრის რეგისტრაციას, დისციპლინური კომიტეტის მიერ საკითხის განხილვას და მიღებული გადაწყვეტილების სკოლის დირექტორისათვის გადაცემას. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება ექვემდებარება გასაჩივრებას სამეურვეო საბჭოში.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესი და პროცედურა ემსახურება სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მენეჯმენტსა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია ეფექტურად ხორციელდება. როგორც წესი, სხვადასხვა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სკოლის მართვასთან დაკავშირებული პროცედურებისა და სიახლეების შესახებ სასკოლო საზოგადოებას და მათგან იღებს უკუკავშირს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო, შესაბამისად, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში. სკოლაში ასევე შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის წესდება
- პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4 . ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის ორივე შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, საევაკუაციო გასასვლელების მანიშნებელი მანათობლებით, სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობა-საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებით და უსაფრთხოების საშუალებებით-მართვის პულტით, დეტექტორებით სახანძრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიგნალიზაციისა და შეტყობინების სისტემების გეგმით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სახანძრო ტექნიკთან სკოლის უსაფრთხოებაზე.

რეკომენდაცია: სკოლამ სოფელ სამწევრისის შენობაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უნდა შეათანხმოს შესაბამის ორგანოსთან.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისას სოფელ სამწევრისის შენობაზე შესაბამის ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024

რეკომედაცია: სოფელ კეხიჯვრის შენობაში, პირველადი დახმარების გასაწევად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლამ უნდა აიყვანოს მინისტრების ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პირი.

სოფელ კეხიჯვრის შენობაში სამედიცინო დახმარებისთვის გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01/23/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზიტის დროს სოფელ სამწევრისის შენობაში სკოლას გამოყოფილი არ ჰქონდა სამედიცინო დახმარებისთვის ოთახი, არც შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი ჰყავდა.

შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა სექტემბრის ბოლომდე გეგმავდა სივრცის გამოყოფას, თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო ან სხვა რაიმე მასალა არ წარმოუდგენია და ექსპერტის მხრიდან გადამოწმება შეუძლებელია. სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №1/კ-37 სოფელ სამწევრისის დაწყებითი კლასებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და ამ პირის დიპლომის ასლი, რომლის მიხედვითაც მან 2005 წელს დაასრულა პედაგოგიური და სამკურნალო საქმის ფაკულტეტი და მიენიჭა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. სკოლამ ორივე აქტივობა შეაფასა მეტწილად.

რეკომენდაცია: სკოლამ 1 წლის განმავლობაში სოფელ სამწევრისის სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს სამედიცინო სივრცე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და აიყვანოს სამედიცინო პერსონალი მინისტრების ბრძანებით დადგენილი კვალიფიკაციის.

სოფელ კეხიჯვარის სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში შესაბამისობის შეფასების შესახებ წარმოდგენილია სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 28 მარტის დასკვნა, რომლითაც სკოლის შენობის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან დადებითადაა შეფასებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე

რეკომენდაცია: სკოლამ უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სოფელ სამწევრისის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024

რეკომენდაცია: სკოლამ უნდა მიიღოს ორივე სოფლის შენობაზე აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 16.08.2024

**რჩევა:** სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადი წესით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან. სკოლას ემსახურებიან მანდატურები მხოლოდ სოფელ კეხიჯვრის შენობაში.

ვიზიტის დროის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით სოფელ სამწევრისის შენობაში სკოლას არ ჰყავდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის განსაზღვრული პირი. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს №1/კ-34ა ბრძანება, კეხიჯვრის საჯარო სკოლის პერიფერიის სოფელ სამწევრისის დაწყებით კლასებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ და ესენი არიან დაწყებითის ერთ-ერთი მასწავლებელი და დარაჯი. ამდენად ინდიკატორი შეფასდა სრულად.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ასევე, სკოლაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დოკუმენტი.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლის შენობის სამივე სართულზე განთავსებულია ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. ასევე პერსონალისათვის.

სკოლის ორივე სოფლის შენობებში სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, ხელსახოცებით და თხევადი საპნით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ანტიბაქტერიული ხსნარის დისპენსერები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია ორივე შენობაში.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით, სკოლამ მონაცემთა სუბიექტთან ურთიერთობის ხასიათიდან და მონაცემთა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე შეიძლება დაამუშაოს შემდეგი პერსონალური მონაცემები: ა) მოსწავლის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადებისთარიღი და ადგილი, მოქალაქეობა; საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, მოსწავლის დასწრებისა და მოსწრების აღრიცხვა; სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიღებული/შექმნილი ნებისმიერი ინფორმაცია. ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შესახებ: საიდენტიფიკაციო მონაცემები-სახელი, გვარი,პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი; საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა. გ) მასწავლებლის/სხვა თანამშრომლის შესახებ: საიდენტიფიკაციო მონაცემები-სახელი, გვარი,პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი; საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები-ინფორმაცია ნასამართლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ; შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მიღებული/შექმნილი ნებისმიერი ინფორმაცია. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი საქმისმწარმოებელი. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ყველა მომხმარებელს აქვს თავისი სახელი და პაროლი, რომელიც არაა ცნობილი სხვა პირებისთვის.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში საქმისწარმოების წესის შესაბამისად შემოსული, დამუშავებული და არსებული ინფორმაცია არის დაცული სისტემურად, არანაირი ქმედების და ინფორმაციაზე წვდომის საშუალება არ აქვს არაუფლებამოსილ პირს. სკოლას ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით წესი/დოკუმენტი შემუშავებული არ აქვს. ამასთან, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სარეზერვო ფაილების კოპირებით, ანტივირუსული პროგრამებით და სხვა საშუალებებით. ექსპერტთა ჯგუფი რჩევის სახით სკოლას სთავაზობს: შეიმუშაოს წესები ინფორმაციის დაცვის მექანიზმები დოკუმენტური სახით და სხვადასხვა შეხვედრის დროს მიწოდებულ რეკომენდაციას სკოლის თანამშრომლებისთვის ჰქონდეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

სკოლა ხელმძღვანელობს მის მიერვე შემუშავებული დოკუმენტით ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ. სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მოთხოვნილი არ ყოფილა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი
- ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- საგანგებო სიტუაციებიბს მართვის გეგმა სოფელ კეხიჯვრის სკოლის შენობაზე
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
- დირექტორის ბრძანება სოფელ სამწევრისის შენობაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ
- სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 28 მარტის დასკვნა სოფელ კეხიჯვარის სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარში და ასევე დაწყებითი საფეხურის 2 კლასკომპლექტისთვის სწავლება მიმდინარეობს სოფელ სამწევრისში. საჯარო რეესტრის ამონაწერებით, შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა არსებობის ვადით. სოფელ კეხიჯვარში სკოლის მიწის ფართი 9110 კვ.მ.-ია, ხოლო შენობის ფართობი: 1646.09 კვ.მ. სოფელ სამწევრისში მიწის ფართი -1526 კვ.მ. შენობა კი - 204, 58 კვ.მ.

კეხიჯვრის სკოლის შენობას რეაბილიტაცია გაუკეთდა მილენიუმის პროექტის ფარგლებში 2016 წელს, ხოლო სამწევრის შენობა- 2018 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

2.სოფელ კეხიჯვრის სკოლაში 14 საკლასო ოთახია, ასევე დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, მნის ოთახი, საქმისმწარმოებელისა და ბუღალტრის ოთახი, არქივი, სათავსო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ოთახი, მანდატურის ოთახი, დაცვა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი 272 კვ.მ., ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, ოთახი სპეცმასწავლებლებისათვის, სასადილო.
სოფელ სამწევრისის სკოლის შენობა წარმოადგენს 2 საკლასო ოთახს, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ სივრცეს და ასევე პატარა სივრცეს სპორტული აქტივობებისათვის.
3. სკოლის ინფრასტრუქტურა გათვლილია ინკლუზიაზე, რადგან კეხიჯვრის სკოლის შენობაში შესვლა შესაძლებელია იმ კარებით, რომლებიც მიწის სიმაღლეზეა. შშმ პირთათვის სოფელ კეხიჯვრის შენობაში მოწყობილია შესაბამისი სველი წერტილი. სკოლაში მუშაობს 1 სპეცმასწავლებელი. მოწყობილია რესურსოთახი, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით.
სოფელ სამწევრისის შენობაში შესასვლელად ბუნებრივი პანდუსია, ასევე ადაპტირებულია სველი წერტილი.
4. სოფელ კეხიჯვრის შენობაში არის ერთი კომპიუტერული ოთახი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო და სხვ, რაც ქმნის შესაძლებლობებს, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. სოფელ სამწევრისის შენობაში 2 კლასკომპლექტია დაწყებითი კლასებისთვის, რომლებისთვისაც გამოყოფილია 3 კომპიუტერი, თითო კლასისთვის 1 კომპიუტერი, ასევე ყველა მოსწავლეს აქვს მიღებული კომპიუტერი.
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმებით განსაზღვრული საჭირო რესურსები: სოფელ კეხიჯვრის სკოლის შენობაში 14 საკლასო ოთახია, ხოლო სამწევრისის შენობაში-2 საკლასო ოთახი, რესურსოთახი და სივრცე ბიბლიოთეკისათვის, რომლებიც აღჭურვილია ინვენტარით, მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი 401 ინდივიდუალური მერხითა და სკამით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, კარადებით. სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი, ლაბორატორიების აღჭურვილობა, კომპიუტერი, პროექტორი.
კეხიჯვრის სკოლის შენობაში არსებობს სპორტული დარბაზი თავისი გასახდელებით და მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით
ბიბლიოთეკაში საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოებია, აღრიცხული და დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით, წიგნების მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკაში სულ 32161 წიგნია აღრიცხული. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.
უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საკმაოდ აქტიურ არაფორმალური განათლების მიღების ადგილს, სადაც ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი: სამოქალაქო განათლების ,,გზამკვლევი", ეკოკლუბი "ეკოტოპია", კინოკლუბი, stem კლუბი- საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვარ[illegible]

სკოლის ინვენტარიზაციის აქტით, სკოლის მფლობელობაშია ისტორიული და გეოგრაფიული რუკები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:*

- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კეხიჯვრის სკოლის შენობაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლაში არის ინტერნეტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტის, ვაიფაის, მიღებას სკოლის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. აღწერილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს

ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სულ სკოლას შეძენილი აქვს 9 პროექტორი და 49 ნოუთბუქი.

სოფელ სამწევრისის შენობაში არის 3 კომპიუტერი და ყველა მოსწავლეს აქვს თავისი ნოუთბუქი.

2. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისათვის. კომპიუტერები განთავსებულია დირექციის ოთახებში, ბიბლიოთეკაში, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, კანცელარიაში. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინვენტარიზაციის აქტი
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. არის ბრძანებები, მატერიალური სახით ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც ატვირთულია eflow - ში, არსებობს მათი რეესტრი. ყოველივე აღნიშნულიდან, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვის საკითხებში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიებიც. ხორციელდება დოკუმენტაციის ატვირთვა, დამუშავება და უკუკავშირის მიწოდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც დასტურდება eschool-ის ბაზის დათვალიერებით, სადაც შევსებულია ყველა ძირითადი ველი;
4. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, რომლის საშუალებითაც ადგილად დგინდება, რომ ძირითადად დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების წესი
- სკოლაში მოქმედი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემა
- პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

2. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
3. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
5. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
6. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ვიზიტის დროს სკოლა ახალი ჩართული იყო skolebi.emis.ge-ს პორტალში, ასევე ჰქონდა facebook გვერდი. იგი სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის შესახებ დამტკიცებული დებულება.
2. სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რაც დასტურდება eflow-სა და ელექტრონული ფოსტის მიმოწერებით. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს და სკოლის დერეფნებში გამოფენილი მასალები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
ინტერიუთი იკვეთება, რომ ვებგვერდის საშუალებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4.სკოლის მოქმედი ვებგვერდი პორტალზე ქართულენოვანია.
5. სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა. ღირებულებები, სტრუქტურა.
რეკომენდაცია: სკოლამ პორტალის საკუთარ ვებგვერდზე: skolebi.emis.ge-ს ასახოს სტანდარტით მოთხოვნილი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 30 ნოემბრამდე გეგმავს წარმართოს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციალ განსაზღვროს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და ასახოს მასზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- facebook გვერდი
- eflow-ს სისტემა
- ელექტრონული ფოსტის მიმოწერები.
- მომოწერა emis- თან
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვალი

- Skolebi. Emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომლითაც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება შესაძლებელია.
2. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ. იგეგმება შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის პროექტს განიხილავს სამეურვეო საბჭო და რომელიც ამტკიცებს მას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილების შეტანა (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოებები).

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

- სკოლის ბიუჯეტი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შიდა რეგულაციები. სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერი პირის მიერ და რეალიზებულია სასკოლო გარემოში. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების,

უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის დაცვას. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან/მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მათი წარმომადგენლის მეშვეობით სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია დემოკრატიული პრინციპებით და რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და სკოლის ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობის გაზრდა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. პერსონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე.

**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**

2. სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსი და შინაგანაწესი, რომლებიც საჯარო დოკუმენტებია. გამოკრულია სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე, კერძოდ, საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კლასის დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე მშობლებს, ხოლო სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებს აცნობენ შინაგანაწესს. გარდა ამისა, ბუკლეტებისა და პოსტერების სახით მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები, სადაც გაწერილია 112-ის შესახებ ინფორმაცია. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. კლასის დამრიგებლებს აქვთ შექმნილი ჯგუფები, სადაც გაწევრიანებული არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლის მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები. აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან/მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი, რომელიც გაფორმდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება

**4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-97; 14.08. 2023) დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა, სტატუსის შეჩერება/აღდგენის, შეჩერებული სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის პროცედურები. სკოლა ხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N04/ნ-ით, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლით განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს, არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს. სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში რაოდენობების გათვალისწინებით. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს ინდ.გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების ყველა საჭირო რეგულაციას. პროცედურების დაცვისა და შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. ის პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩიონდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს. ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლის, მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის არადისკრიმინაციული და კანონდებლობის შესაბამისი. სკოლის პერსონალი, კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სოციალური ქსელის, საინფორმაციო შეხვედრებისა და სოციალური ქსელების დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სერვისების, დაგეგმილი შიდასასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსებისა და სერვისების შესახებ. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ჯერ ინფორმაცია ზუსტდება, მოწმდება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.
- სკოლის სოცქსელის დახურული ჯგუფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; კერძოდ სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-102; 14.08.2023) დამტკიცებულია გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა და სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმები და რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. სკოლაში ხდება საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. ეწყობა ღია კარის დღეები. სკოლა ზრუნავს თითოეულ მოსწავლეზე, ხელს უწყობს ახლად გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ყველა კლასის დამრიგებელი ახალგადმოსულ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, თითოეული კაბინეტის განლაგებას და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის წესებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვის ადაპტაციას სასკოლო გარემოში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლა სასწავლო წლის დაწყებისთანავე უქმნის მოსწავლეებს ადაპტირებულ გარემოს. გარემონტებული და მოწესრიგებულია საკლასო ოთახები. სკოლის აქვს პანდუსი ორივე შენობის შემოსასვლელში. არის რესურსოთახები, რომლებშიც განთავსებულია კომპიუტერი, პროექტორი და მიზნობრივი რესურსები. ასევე მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე შესრულებული დავალების ნიმუშები და პროდუქტები. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

**რჩევა-**გაიწეროს ტრანზაციის ზოგადი პროცედურები სხვადასხვა შემთხვევისთვის და გამოიყოს პასუხისმგებელი პირი.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რადგან ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და

რეგულარულად თვეში ერთხელ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში საგნისთვის დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნის გამოცდამდე მართავს კონსულტაციებს მოსწავლის მშობელთან შეთანხმებით შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ასევე სკოლის ფარგლებში იმართება შეხვედრები ერთ კლასში შემსვლელ მასწავლებელთა მონაწილეობით, სადაც განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ სასწავლო პროცესს, რაც საშუალებას იძლევა მეტად ორიენტირებულები იყვნენ მოსწავლის მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა. ასევე უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ასაკობრივ და გაცდენების გამო ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ. გამოცდების დაწყებამდე მასწავლებლები სათანადო კონსულტაციას უწევენ მათ. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დამლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრას პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა. დაწესებულებამ მტკიცებულიების სახით წარმოადგინა ღონისძიების და აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში ფუნქციონირებს: სამოქალაქო განათლების კლუბი ,,გზამკვლევი“, „ეკო კლუბი უტოპია“, სამეწარმეო კლუბი, ლიტერატურურული კლუბი, სახელოვნებო კლუბი, STEM კლუბი, ინგლისური ენის კლუბი. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მუდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს, რომლის საფუძველზე აქვთ შესაძლებლობა ცვლილებები შეიტანონ პროცესში. ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის სოცგვერდი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოსწავლეები ღია კარის დღეზე სტუმრობენ უმაღლეს სასწავლებლებს, ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლა იწვევს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებს, რათა მათ ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს და დაეხმარონ პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.
   სკოლა სამომავლოდ გეგმავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს. სკოლაში საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი კარიერული დაგეგმვისა

და პროფესიული ორიენტაციის შესახებ, რომელზეც მოსწავლეებმა შეისწავლეს პროფესიული რეზიუმეს შევსება და გაითამაშეს ინტერვიუ დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის. ამ აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში პროფესიული არჩევანის განვითარებას. სკოლაში ხორციელდება საგაკვეთილო და სადამრიგებლო პროექტები. **რჩევა:** სკოლამ ერთიანი დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შესახებ.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სხვადასხვა ორგანიზაციასთან იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლას დაგეგმილი აქვს საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის დაგეგმოს ვიზიტები ახლომდებარე რაიონებში მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან. საწარმოებში, კოლეჯში და ა. შ. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზნებს. 2023-2024 სასწავლო წლიდან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება უკუკავშირი მიიღონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან, Teams –ის და Forms-ის პლატფორმის საშუალებით ჩაატარებენ გამოკითხვას, საიდანაც მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურეობის ხარვეზებზე, რათა შემდგომ დაგეგმონ აქტივობები მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო პროექტები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. შექმნილია ისგ ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან: დამრიგებელი, მშობელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და საგნის მასწავლებლები, ისგ-ის ჯგუფები მუშაობენ კოორდინირებულად, აფასებენ მოსწავლეებს, ამის საფუძველზე ისგ-ში შედის ცვლილებები; ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. სკოლა ხელმძღვანელბს ეროვნული სასწავლო გეგმით, იქმნება სპეციალურ მასწავლებელთან ერთად მოსწავლის ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ აქტივობათა და რესურსთა ჩამონათვალი, რასაც გამოიყენებენ მოსწავლესთან სამუშაოდ. ყველა მოსწავლისთვის ცალ-ცალკე იქმნება ისგ ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეც. მასწავლებელთან კოორდინირებულ მუშაობას. მშობელი ყოველთვის ესწრება ისგ ჯგუფის შეხვედრებს, სადაც იგეგმება შესაბამისი აქტივობები. ხდება ინდივიდულური შეხვედრები სსსმ მოსწავლის მშობლებთან კონსულტირება-ინფორმირებისა და შესასრულებელ სავარჯიშოებისა და მიღწევების შესახებ ინფორმირების მიზნით. დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულებას.ყველა საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, რესურსსივრცე შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს, აღნიშნულ მოსწავლეებთან მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან სპეცმასწავლებელთან, რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავ

ადაპტირება. ურთიერთთანამშრომლობით დგება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი,რომლის შედეგების ანალიზს ეფუძნება შესაბამისი ცვლილებები. ინდ. გეგმები შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურსოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

   **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ტრანსპორტირებით, თუმცა აღნიშნული მომსახურება უფასოა და უზრუნველყოფილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტაბელი, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. ინტერვიუსას ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სხვადასხვა სერვისის შეთავაზება, რაც სასკოლო საზოგადოების სურვილების გათვალისწინებით განისაზღვრება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა განხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და მოემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული ,,ტაბელი“*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხური) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

### II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს. ***<u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.</u>***

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.ასევე შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვ ილი

მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა დაკომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

3.სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - “კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს , კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

4. წარმოდგენილი დოკუმენტის -,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია’’ და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში, მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

**რჩევა:** ვებგვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნეს ვებგვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავ ელი

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ეს ფაქტორები გამოიკვეთა, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია გრძელვადიანი მიზნები, ზოგადად, მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, მათემატიის საგნობრივ ურიკულუმებში. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, მაგრამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტის მიერ გაიცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად შეივსება მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად შეივსება რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

**რჩევა:** დაიხვეწოს კურიკულუმების ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები.

***<u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.</u>***

2.სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. გამოიკვეთა , რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში საჭიროა გაიწეროს სწავლების მიზნები, შესაბამისად ექსპერტისგან სკოლამ მიიღო **რჩევა**: კურიკულუმის ჩარჩოში დაწყებით საფეხურზე ყველა საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველი მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური პიროვნება თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველებაში, ყველა კლასში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელები. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. მასწვალებლებმა ნიმუშის სახით წარმოადგინეს ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, როგორც ხელოვნებაში (VII კლასი), ასევე მუსიკაში (VI კლასი). მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის, შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგადაც. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის..

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკები (მე-5-მე-6 კლასები) მიემართება ზოგადად გრძელვადიან მიზნებს, მაგრამ კონკრეტულად საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებათა პირობები შეფასების კრიტერიუმებითაა დაზუსტებული კომპლექსურ დავალებათა ბარათებსა და თემატურ გეგმებში. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის თვითშეფასების ფორმა, გასასვლელი ბარათი, შეფასების ცხრილები, რომელთა საფუძველზეც შეფასების რუბრიკის შექმნაა დაგეგმილი.

ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი შეფასების სქემებს, თუმცა ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. აგრეთვე, პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასებას მოსწავლის საქაღალდით (პორტფოლიოთი). გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ შეფასების რუბრიკის შედგენის პრინციპი და მიზანი მათთვის გასაგებია და აქვთ პოტენციალი, ეტაპობრივად შექმნან კიდეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა **რჩევა**: შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში, ყველა კლასში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
გასაუბრების დროს დაწყებითი კლასის საგნის პედაგოგებმა გამოხატეს შესაბამისი ნება და მზაობა სამომავლოდ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჩართულობით, მათი აკადემიური დონის და ინტერესების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვუთარების მეთოდოლოგია, კატედრის სხდომის იქმები) და აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება. სკოლასთან ინტერვიუში გამოჩნდა, კურიკულუმის შექმნის პროცესი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეების აქტუალურ ზონას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. (მასწავლებლის პირადი პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირი, რეფლექსიის შედეგები. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია განხორციელებული სამუშაოების შეფასება, რომელსაც გამოიყენებენ სასკოლო კურიკულუმის დასახვეწად.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, განხორციელებულია სასკოლო პროექტი, ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმებში შემოთავაზებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. კომპლექსური დავალებები, საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში გაწერილი, როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, გასართობი თამაშები) ასევე თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება) შინაარსის თემები, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობას, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები მოსწავლეებთან ერთად მშობლები. მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებები, კერძოდ - „დავეხმაროთ წითელქუდას ბოქლომის გახსნაში“ , „დავგეგმოთ ღონისძიება“ , „გაყიდვების მენეჯერი“, „მეთევზე’, „საქართველოს რეგიონები“ , „რწყილი და ჭიანჭველა“, „ლიფტის მოდელის დამზადება“, „ყვავილნარის დაგეგმარება“, „პიცის ამოცანა“, „მცირე მეწარმის ამოცანა“, „მზის ენერგია“ და სხვა, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავენ და ახორციელებენ შემოქმედებით ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას. უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სკოლი მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, დაწყებით საფეხურზე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს- პრინციპებით - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების

საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით (მაგ. ბუნებისმეტყველებაში კომპლექსური დავალებები: „ორიენტირება სკოლაში“, „პირადი ჰიგიენა“, „მოგზაურის დღიურები“, „წყლის ბინადრები“ და სხვ.) იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტი "ერთად ძალადობის წინააღმდეგ", პედაგოგები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის კურიკულუმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები

ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. აქცენტი კეთდება აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, შეირჩევა და განხორცილედება კომპლექსური დავალებები და საკლასო/ სასკოლო პროექტები რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტაციას.

საგნობრივ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მნიშვნელოვანია,რომ დაწყებით საფეხურზეგანხორციელებული ეკო კლუბის ფარგლებში აქტივობები, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებასა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. წარმოდგენილია თემატური მატრიცა, საიდანაც დგინდება, რომ მოსწავლეებს უწევთ შესრულებული დავალებების ანალიზი, საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, კათედრების სხდომის ოქმებით, დავალებების ანალიზით, მასწავლებლებთან გასაუბრებით.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი სასკოლო ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ყველა კლასისთვის (1-6), მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში  წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.  კერძოდ: „დავეხმაროთ წითელქუდას“; „ღონისძიების დაგეგმვა“; „გაყიდვების მენეჯერი“ „საქართველოს რეგიონები“ „მეწარმის ამოცანა“, „ყვავილნარის დაგეგმარება“ „ლიფტის მოდელის დამზადება“ „მზის ენერგია“ და ა.შ. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გადამუშავებული კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებებით, სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის  საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც  საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე და ა.შ.   ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.  ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს  ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით   არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

- სასკოლო პროექტი-,,ერთად ძალადობის წინააღმდეგ";
- სამოქმედო გეგმა 2023-24 სასწავლო წელი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება



ი. ჭვარელი

შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო I, II, III, IV, V და VI კლასებისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მცირე ხარვეზები, რომელიც უნდა გასწორდეს. მაგ სკოლამ წარმოადგინა:ბუნებისმეტყველების I, II, III და IV კლასების კურიკულუმის ჩარჩო:
კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან შერჩეულია კომპლექსური დავალებები თითოეულ კლასში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები. ბუნებისმეტყველების V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: V, VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, სამიზნე ცნებებთან განსაზღვრულია შესაბამისი ქვეცნებები. გამოყოფილია თემის ფარგლებში საკითხთა კლასტერები, თუმცა არ არის გაწერილი ყველა კომპლექსური დავალება, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა, აგრეთვე არ არის დაზუსტებული სასწავლო მასალა. 2023-24 სასწავლო წლისთვის უნდა შეირჩეს შუალედური სასწავლო მიზნები, კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა. შეირჩეს შესაბამისი სასწავლო რესურსები, გაიწეროს შეფასების რუბრიკები;
სკოლამ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუში, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია (საგან მათემატიკაში) დაგეგმილი მე-6 კლასის კომპლექსური დავალება „ღონისძიების დაგეგმვა“ სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი საკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებისკენ. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სასკოლო პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლის განვითარების დონე და ამის შესაბამისად გაამარტივეს დავალებები. კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეებს გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. საშუალებას მისცემს მოსწავლეს სხვადასხვა დავალების განხორცილების დროს , გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3 მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. სკოლა ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობ/უშლის სასწავლო პროცესში მოსწალის აქტიურ მონაწილეობას, მაგ. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, საიდანაც ნათელი ხდება რომ სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა პრობლემა:157 მოსწავლეს სახლში არა აქვს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, მოსწავლეების უმრავლესობას უწევს სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. სკოლამ გადაწყვიტა შექმნას დამატებითი სამუშაო სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. შაბათს 11:00-დან 15:00 სთ-მდე, რითაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, მათ ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა საგნების მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომლთა ანალიზიც იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. შერჩეული კომპლექსური დავალებების , აუცილებელ კომპონენტს შეადგენს შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავებისა და განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.
ყველა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშებით იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შეიმუშავებენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო.
**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა, სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით). სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს, რომ შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ექსპერტთა შეფასებით, სკოლაში რეალურად ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დოკუმენტის სახე არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგულირდებოდა მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი; შეფასების განმახორციელებელი რგოლი; შერჩევის პრინციპები; ვერიფიკაციის პროცესის აღწერა; შედეგები; შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი", რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი ვერიფიკაციის დროს და ვინ ახორციელებს მას, როგორია შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება.

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3-წლიანი პერიოდი. სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანება ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" დამტკიცების თაობაზე

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: სასკოლო და სასწავლო პროექტები, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნუკური და რელიგიური კონფესნსის მიუხედავად, ეძლევათ საშუალება ჩართული იყვნენ აქტივობების განხორციელების პროცესში. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორცილებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული დაწყებითი კლასის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, ლიტერატურული კლუბი და ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემაიურად ხდება ერთობლივი ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორცილელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ

კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. რაც ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას.სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში არის დაცული მასწავლებლებისა და მოსწავლეთა უფლებები. შქმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მანდატურის სამსახური წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს, მოსწავლეთა შინაგანაწესის გაცნობა, ფსიქოლოგებისა და სკოლის ექიმის ჩართულობა, ასევე სადამრიგებლო საათების ჩატარება ზრდის მოსწავლეთა შორის დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გამომუშავებას. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება.მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადავ არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორცილდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის)

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტლურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. <u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება</u>**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი-იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება.** <u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება</u>

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) .

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.** <u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება)

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის;

**ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლაა აქვს მზაობა შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება**

(მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული

მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.
**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
2.სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.ასევე შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა დაკომპლექსური დავალებების მოდიფიცირება.
***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

4. წარმოდგენილი დოკუმენტის- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში, მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

**რჩევა:** ვებგვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნას ვებ-გვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ფვაძე

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ეს ფაქტორები გამოიკვეთა, საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია გრძელვადიანი მიზნები, ზოგადად, მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, საბაზო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **რჩევა:** დაიხვეწოს კურიკულუმების ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად შეივსება მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად შეივსება რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. გამოიკვეთა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში საჭიროა გაიწეროს სწავლების მიზნები, შესაბამისად ექსპერტისგან სკოლამ მიიღო **რჩევა**: კურიკულუმის ჩარჩოში საბაზო საფეხურზე ყველა საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ყოველი მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური პიროვნება თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველებაში, ყველა კლასში  სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელები. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. მასწვალებლებმა ნიმუშის სახით წარმოადგინეს ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები,  ხელოვნებაში (VII კლასი), მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის, შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგადაც.  სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით.  სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკები (მე-5-მე-6 კლასები) მიემართება ზოგადად გრძელვადიან მიზნებს, მაგრამ კონკრეტულად საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებათა პირობები შეფასების კრიტერიუმებითაა დაზუსტებული კომპლექსურ დავალებათა ბარათებსა და თემატურ გეგმებში. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის თვითშეფასების ფორმა, გასასვლელი ბარათი, შეფასების ცხრილები, რომელთა საფუძველზეც შეფასების რუბრიკის შექმნაა დაგეგმილი.

ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი შეფასების სქემებს, თუმცა ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. აგრეთვე, პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასებას მოსწავლის საქაღალდით (პორტფოლიოთი). გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ შეფასების რუბრიკის შედგენის პრინციპი და მიზანი მათთვის გასაგებია და აქვთ პოტენციალი, ეტაპობრივად შექმნან კიდეც.სკოლას მიეცა **რჩევა**: შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში, ყველა კლასში,  თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

გასაუბრების დროს საბაზო საფეხურის საგნის პედაგოგებმა გამოხატეს შესაბამისი ნება და მზაობა სამომავლოდ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჩართულობით, მათი აკადემიური დონის და ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვუთარების მეთოდოლოგია, კატედრის სხდომის იქმები) და აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია კურიკულუმის შექმნის პროცესი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეების აქტუალურ ზონას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. (მასწავლებლის პირადი პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირი, რეფლექსიის შედეგები. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია განხორციელებული სამუშაოების შეფასება),რომლესაც გამოიყენებენ სასკოლო კურიკულუმის დასახვეწად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
  კათედრის სხდომის ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვა...ლი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, განხორციელებულია სასკოლო პროექტი, ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. კომპლექსური დავალებები, საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებით და მოსწავლეთა

ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში გაწერილი, როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, გასართობი თამაშები) ასევე თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება) შინაარსის თემები, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა გეგმავს საბაზო საფეხურზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობას, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები მოსწავლეებთან ერთად მშობლები. მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.( ექვსი კომპონენტური უნარი) კერძოდ მე-9 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების „მაქსიმალური მოცულობის ყუთის დამზადება“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავენ და ახორციელებენ შემოქმედებით ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას. უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სკოლი მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, საბაზო საფეხურზე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს- პრინციპებით - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების

საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით (მაგ. კომპლექსური დავალებები: ფიზიკა-„ყველაზე მსუბუქი მყარი სხეული“ „კატაპულტი“; ქიმია-„მჟავა წვიმები“, „პოლიეთილენი-საფრთხე თუ სარგებელი“; ბიოლოგია- ,,ტანადობის დარღვევის მიზეზები და პრევენციის გზები“, „სასუნთქი სისტემა“ და სხვ.) იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტები "ერთად ძალადობის წინააღმდეგ". იგეგმება STEM კლუბის მუშაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტი “ერთად ძალადობის წინააღმდეგ”, პედაგოგები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება

სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. აქცენტი კეთდება აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, შეირჩევა და განხორცილედება კომპლექსური დავალებები და საკლასო/ სასკოლო პროექტები რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტაციას.

საგნობრივ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მნიშვნელოვანია,რომ საბაზო საფეხურზე განხორციელებული ეკო კლუბის ფარგლებში აქტივობები, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებასა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. წარმოდგენილია თემატური მატრიცა, საიდანაც დგინდება, რომ მოსწავლეებს უწევთ შესრულებული დავალებების ანალიზი, საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, კათედრების სხდომის ოქმებით, დავალებების ანალიზით, მასწავლებლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, ამაზე მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგაში და მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გადამუშავებული კურიკულუმები, შეჩეული კომპლექსური დავალებებით, შესაბამისი სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო პროექტი-”ერთად ძალადობის წინააღმდეგ”;
- სამოქმედო გეგმა 2023-24 სასწავლო წელი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო. მაგ

Iბიოლოგია-წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურის ყველა (VII, VIII, IXკლ) კლასისთვის, რომლებიც ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, შერჩეულია რამდენი და რომელი კომპლექსრუი დავალება განხორციელდება თითოეულ კლასში. გაწერილია შესაბამისი სასწავლო რესურსები. ქიმია-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ორივე (VIII, IXკლ) კლასისთვის. დოკუმენტი კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, აგრეთვე მითითებულია ყველა საკითხთა კლასტერისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსები.

სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან შერჩეულია კომპლექსური დავალებები თითოეულ კლასში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები. 2023-24 სასწავლო წლისთვის უნდა შეირჩეს შუალედური სასწავლო მიზნები, კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა. შეირჩეს შესაბამისი სსწავლო რესურსები, გაიწეროს შეფასების რუბრიკები;

სკოლამ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუში, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანია

სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი საკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებისკენ.საბაზო საფეხურზე განხორციელებული სასკოლო პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლის განვითარების დონე და ამის შესაბამისად გაამარტივეს დავალებები. კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეებს გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. საშუალებას მისცემს მოსწავლეს სხვადასხვა დავალების განხორცილების დროს , გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. სკოლა ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობ/უშლის სასწავლო პროცესში მოსწალის აქტიურ მონაწილეობას, მაგ. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, საიდანაც ნათელი ხდება რომ სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა პრობლემა:157 მოსწავლეს სახლში არა აქვს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, მოსწავლეების უმრავლესობას უწევს სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. სკოლამ გადაწყვიტა შექმნას დამატებითი სამუშაო სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. შაბათს 11:00-დან 15:00 სთ-მდე, რითაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, მათ ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. საბაზო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა საგნების მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომლთა ანალიზიც იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.
შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. შერჩეული კომპლექსური დავალებების , აუცილებელ კომპონენტს შეადგენს შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავებისა და განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.
ყველა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშებით იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შეიმუშავებენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას დოკუმენტურად არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა, სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით). სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს, რომ შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტურად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,
სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი ვერიფიკაციის დროს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინ ახორციელებს მას, როგორია შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება.

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წლიანი პერიოდი. სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“,

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: სასკოლო და სასწავლო პროექტები, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნუკური და რელიგიური კონფენსის მიუხედავად, ეძლევათ საშუალება ჩართული იყვნენ აქტივობების განხორცილების პროცესში. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორცილებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული საბაზო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, ლიტერატურული კლუბი და

ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით აქტივობების დაგეგმვა დ განხორციელელება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემაიურად ხდება ერთობლივი ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციებული აქტივობები. რაც ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას.სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში არის დაცული მასწავლებლებისა და მოსწავლეთა უფლებები. შქმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მანდატურის სამსახური წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს , მოსწავლეთა შინაგანაწესის გაცნობა, ფსიქოლოგებისა და სკოლის ექიმის ჩართულობა, ასევე სადამრიგებლო საათების ჩატარება ზრდის მოსწავლეთა შორის დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გამომუშავებას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება.მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი

ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი- იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2. სასკოლო კურიკულუმი

## 2.1. კურიკულუმის შემუშავება

## 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს. ამ სახის ინფორმაცია იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: სამოქმედო გეგმაში, თვითშეფასების დოკუმენტში, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, არჩევითი საგნის (კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები) თემატურ გეგმაში, კათედრის სხდომის ოქმებში, ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესში. წარმოდეგენილი დოკუმენტების მიხედვით მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა. საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
2.სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ფვაძლი

გათვალისწინება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.ასევე შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა დაკომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს, ასევე პროექტებში ფუნქციების განაწილება ხდება შესაძლებლობებიდან გამომდინარე. . სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც სწავლა-სწავლების მიზნები და სასწავლო პროცესია აღწერილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. მათემატიკის ექსპერტის მიერ გაიცა **რჩევა**: კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

3.სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე. სკოლას აქვს უკვე შემუშავებული საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნის კურიკულუმები. მასწავლებლები გეგმავენ რომ კურიკულუმები მშობლებს გააცნონ და მათი უკუკავშირი გაითვალისწინონ. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

**რჩევა:** შექმნან მე-11 კლასის სრულყოფილი კურიკულუმი მათემატიკაში.

4. წარმოდგენილი დოკუმენტის -"კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში, მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში. **გაიცა რჩევა:** ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნას ვებ-გვერდზეც სასკოლო საზოგადოებისთვის.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

**2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ეს ფაქტორები გამოიკვეთა, საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია გრძელვადიანი მიზნები, ზოგადად, მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **რჩევა:** დაიხვეწოს კურიკულუმების ჩარჩოები, სწორად განისაზღვროს სამიზნე ცნებები, და მასთან მიმართებით ქვეცნებები, ქვესაკითხები. აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები კურიკულუმების ჩარჩოებში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად შეივსება მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება და სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭ[illegible]

შეივსება რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. გამოიკვეთა , რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში საჭიროა გაიწეროს სწავლების მიზნები, შესაბამისად ექსპერტისგან სკოლამ მიიღო **რჩევა**: კურიკულუმის ჩარჩოში საშუალო საფეხურზე ყველა საკითხისათვის გაიწეროს სწავლების მიზნები.
**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ყოველი მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური პიროვნება თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველებაში, ყველა კლასში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება

დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა,

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ქიმიაში, ყველა კლასში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებლები. ამ ეტაპზე, საშუალო საფეხურის მე-10 კლასში ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე, პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა.სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკები (მე-5-მე-6 კლასები) მიემართება ზოგადად გრძელვადიან მიზნებს, მაგრამ კონკრეტულად საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებათა პირობები შეფასების კრიტერიუმებითაა დაზუსტებული კომპლექსურ დავალებათა ბარათებსა და თემატურ გეგმებში. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის თვითშეფასების ფორმა, გასასვლელი ბარათი, შეფასების ცხრილები, რომელთა საფუძველზეც შეფასების რუბრიკის შექმნაა დაგეგმილი.

ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი შეფასების სქემებს, თუმცა ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. აგრეთვე, პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასებას მოსწავლის საქაღალდით (პორტფოლიოთი). გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ შეფასების რუბრიკის შედგენის პრინციპი და მიზანი მათთვის გასაგებია და აქვთ პოტენციალი, ეტაპობრივად შექმნან კიდეც. სკოლას მიეცა **რჩევა**: შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში, ყველა კლასში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანია

დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
გასაუბრების დროს საშუალო საფეხურის საგნის პედაგოგებმა გამოხატეს შესაბამისი ნება და მზაობა სამომავლოდ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჩართულობით, მათი აკადემიური დონის და ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვუთარების მეთოდოლოგია, კატედრის სხდომის იქმები) და აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია კურიკულუმის შექმნის პროცესი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეების აქტუალურ ზონას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. (მასწავლებლის პირადი პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირი, რეფლექსიის შედეგები. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია განხორციელებული სამუშაოების შეფასება),რომლესაც გამოიყენებენ სასკოლო კურიკულუმის დასახვეწად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
  კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, განხორციელებულია სასკოლო პროექტი, ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. კომპლექსური დავალებები, საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში გაწერილი, როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, გასართობი თამაშები) ასევე თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება) შინაარსის თემები, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა გეგმავს საშუალო საფეხურზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობას, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები მოსწავლეებთან ერთად მშობლები. მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.( ექვსი კომპონენტური უნარი). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სკოლი მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი, საშუალო საფეხურზე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს- პრინციპებით - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების

საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით (მაგ. კომპლექსური დავალებები: ფიზიკა- „ელექტროსკოპი“ „ელექტროლიზი“, „რა არის „ცერნი“; ქიმია-„შესაძლოა კანონზომიერების დარღვევა?“, „რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები“; ბიოლოგია- ,,უჯრედისა და ქალაქის სტრუქტურის შედარება“, „მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ზრდა-განვითარება“ და სხვ.) იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტები “ერთად ძალადობის წინააღმდეგ”. იგეგმება STEM კლუბის მუშაობა. პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტი “ერთად ძალადობის წინააღმდეგ”, პედაგოგები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. აქცენტი კეთდება აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, შეირჩევა და განხორცილედება კომპლექსური დავალებები და საკლასო/ სასკოლო პროექტები რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტაციას.

საგნობრივ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მნიშვნელოვანია,რომ საშუალო საფეხურზე განხორციელებული ეკო კლუბის ფარგლებში აქტივობები, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებასა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. წარმოდგენილია თემატური მატრიცა, საიდანაც დგინდება, რომ მოსწავლეებს უწევთ შესრულებული დავალებების ანალიზი, საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, კათედრების სხდომის ოქმებით, დავალებების ანალიზით, მასწავლებლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, ამაზე მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგაში და მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გადამუშავებული კურიკულუმები, შეჩეული კომპლექსური დავალებებით, შესაბამისი სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო პროექტი-"ერთად ძალადობის წინააღმდეგ";
- სამოქმედო გეგმა 2023-24 სასწავლო წელი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო.მაგალითად ფიზიკა-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ყველა (X და XI კლ) კლასისთვის, ჩარჩო ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, ამასთან, შერჩეულია ყველა კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები 2023-24 სასწავლო წლისთვის, ჩარჩო დოკუმენტებში დაზუსტებულია შესაბამისი სასწავლო რესურსები, სტანდარტით განსაზღვრული თემების მიხედვით გაწერილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, გამოყოფილია საკითხთა კლასტერები; ბიოლოგია-წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო X კლასისთვის, აგრეთვე არჩევითი საგნის „კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები“ სასწავლო გეგმა XII კლასისთვის, შესასწავლი საკითხებითა და შედეგების მიღწევის ინდიკატორებით. კურიკულუმი ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, შერჩეულია რამდენი და რომელი კომპლექსული დავალება განხორციელდება თითოეულ კლასში. გაწერილია შესაბამისი სასწავლო რესურსები. ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა 11-ე კლასის კურიკულუმის სამუშაო ვერსია, რომელზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობასაც აგრძელებს და დაასრულებს სასწავლო წლის დასაწყისამდე. ქიმია-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საშუალოო საფეხურის X კლასისთვის. დოკუმენტი კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, აგრეთვე მითითებულია შესაბამისი სასწავლო რესურსები. ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა 11-ე კლასის კურიკულუმის სამუშაო ვერსია, რომელზე მუშაობასაც აგრძელებს და დაასრულებს სასწავლო წლის დასაწყისამდე. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან შერჩეულია კომპლექსური დავალებები თითოეულ კლასში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები. 2023-24 სასწავლო წლისთვის უნდა შეირჩეს შუალედური სასწავლო მიზნები, კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა. შეირჩეს შესაბამისი სსწავლო რესურსები, გაიწეროს შეფასების რუბრიკები;

სკოლამ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების საშუალო საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუში, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვარელი

საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით. რჩევა: კურიკულუმს დაერთოს თემატური მატრიცები, სადაც ნათლად გამოჩნდება მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი საკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებისკენ.საშუალო საფეხურზე განხორციელებული სასკოლო პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლის განვითარების დონე და ამის შესაბამისად გაამარტივეს დავალებები. კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეებს გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. საშუალებას მისცემს მოსწავლეს სხვადასხვა დავალების განხორცილების დროს , გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ეჩვევიან გუნდურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. რჩევა: კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში უნდა ჩაერთოს თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები.
**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. სკოლა ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობ/უშლის სასწავლო პროცესში მოსწალის აქტიურ მონაწილეობას, მაგ. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, საიდანაც ნათელი ხდება რომ სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა პრობლემა:157 მოსწავლეს სახლში არა აქვს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, მოსწავლეების უმრავლესობას უწევს სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. სკოლამ გადაწყვიტა შექმნას დამატებითი სამუშაო სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. შაბათს 11:00-დან 15:00 სთ-მდე, რითაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, მათ ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. საშუალო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა საგნების მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შესადგენია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭკუ[illegible]

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომლთა ანალიზიც იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

საშუალოსაფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. შერჩეული კომპლექსური დავალებების , აუცილებელ კომპონენტს შეადგენს შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავებისა და განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

ყველა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშებით იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შეიმუშავებენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა, სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით). სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწავლების პროცესის საყრდენს, რომ შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავ[illegible]

გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტურა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი ვერიფიკაციის დროს და ვინ ახორციელებს მას, როგორია შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება.

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წლიანი პერიოდი. სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების ფორმა;
- დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №2-135 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“,

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: სასკოლო და სასწავლო პროექტები, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნიკური და რელიგიური კონფესიის მიუხედავად, ეძლევათ საშუალება ჩართული იყვნენ აქტივობების განხორციელების პროცესში. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვანი

საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორცილებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, ლიტერატურული კლუბი და ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით აქტივობების დაგეგმვა დ განხორცილელება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემაიურად ხდება ერთობლივი ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორცილელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციებული აქტივობები. რაც ხელს უწყობს სასკოლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას.სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში არის დაცული მასწავლებლებისა და მოსწავლეთა უფლებები. შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მანდატურის სამსახური წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს, მოსწავლეთა შინაგანაწესის გაცნობა, ფსიქოლოგებისა და სკოლის ექიმის ჩართულობა, ასევე სადამრიგებლო საათების ჩატარება ზრდის მოსწავლეთა შორის დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გამომუშავებას.
საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება.მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. რჩევა: კურიკულუმებში აისახოს კონტექსტ მაგალითები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გასაძლიერებლად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორცილდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი-იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება)

რჩევა: შეფასების ფორმებს უნდა მიეცეს სისტემური ხასიათი, სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების

მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის;

რჩევა: შეფასებისათვის გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას უნდა მიეცეს სისტემური ხასიათი. აღიწეროს და განისაზღვროს შეფასების მეთოდები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში -,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**
2 კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

06.10.2023